



№ 20

წლიურად 5 მ., ნაბევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწვევა მიიღება ქარტაშის სახ. კანტონის და „სოფაპან“-ს სტამბაში. მისამართი: Тифлиси, Грузинский Театр, ред. „Театри да Цховреба“ Иос. Иmediшвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დიბეჭდვება.—ხელთნაწერები სატიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ შედეგად აპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტონაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 20

3 3 0 6 2 0 0 3 0 1 5 0

1914 წ.

13 ივლისი

„მიეცი თ ნიქსა გზა ფართო“

იმდენი სიტყვა, საწერ-კალამი და ქილალი არ დაეხარჯნოს, რაოდენიც ჩვენს დროში, მაგრამ ამავე დროს ადამიანი იქნება არასოდეს ისე შეწყურთული არ ყოფილიყოს, როგორც ახლაა.

პიროვნება კოლოფში მოამწყვდიეს, ახროვნებას სალტები შემოუჭირეს, ყოველი ნიბიჯის გადაღმას სასტიკი მზირი მიუჩინეს, ყოველივე ვიწრო დასურ თვალსაზრისით შემოფარგლეს.

ჯგუფურ-დასური თვალსაზრისით კარაკეტონი ცდილობენ ხელოვნებას თვის კლინკებში ჩაბლუჯონ. თავისუფალი, მხატვრული შემოქმედება, სულის განმასხვებელ, აზროვნების ამაჰომძრავებელ ნაწარმოება შექმნა შესდგა.

ამიტომაც არის ასეთი გასაოცარი მოვლენა: ჰხედავთ „განათლებულს“, მუღამ გაზენის მიკითხველს, მაგრამ მაინც გახვევებულს—გრანობით მოუხეშავს, ჰუმანიურ გრძნობათ მოკლებულს...

და ეს, უმთავრესად, იმიტომ, რომ მთელი ჩვენი დღევანდელი პრესა ვიწრო, დასურ-ჯგუფურ მისწრაფებათ ემსახურება, დაქტობიციბულია და კაცთა გაადამიანებაზე—ადამიანთა ამაღლებაზე კი არა ფიქრობს, არამედ მხოლოდ თვის ჯგუფურ ყინთა გამარჯვებაზე, რადაც უნდა დაუჯდეს იგი...

ურთიერთის არა საკადრისი დევნა, იღის სახელით ხშირად თვის ქვენა მისწრაფებათა გამომხეურება, —ი რითა ხასიათდება ჩვენის პრესის დიდი უმეტესობა. პრესაში რომ არ იკარგეს ასეთი თარეში, ახლა თეატრს გადასწყდენ და ისე წარმოიდგინეს, თითქო ჩვენ „თავდა-აზნაურული თეატრი“,

რწმენისა და სინილის თავისუფლებისათვის კაცობრიობას იქნება არასოდეს იმდენი სიტყვა, საწერ-კალამი და ქილალი არ დაეხარჯნოს, რაოდენიც ჩვენს დროში, მაგრამ ამავე დროს ადამიანი იქნება არასოდეს ისე შეწყურთული არ ყოფილიყოს, როგორც ახლაა.

პიროვნება კოლოფში მოამწყვდიეს, ახროვნებას სალტები შემოუჭირეს, ყოველი ნიბიჯის გადაღმას სასტიკი მზირი მიუჩინეს, ყოველივე ვიწრო დასურ თვალსაზრისით შემოფარგლეს.

ჯგუფურ-დასური თვალსაზრისით კარაკეტონი ცდილობენ ხელოვნებას თვის კლინკებში ჩაბლუჯონ. თავისუფალი, მხატვრული შემოქმედება, სულის განმასხვებელ, აზროვნების ამაჰომძრავებელ ნაწარმოება შექმნა შესდგა.

ამიტომაც არის ასეთი გასაოცარი მოვლენა: ჰხედავთ „განათლებულს“, მუღამ გაზენის მიკითხველს, მაგრამ მაინც გახვევებულს—გრანობით მოუხეშავს, ჰუმანიურ გრძნობათ მოკლებულს...

და ეს, უმთავრესად, იმიტომ, რომ მთელი ჩვენი დღევანდელი პრესა ვიწრო, დასურ-ჯგუფურ მისწრაფებათ ემსახურება, დაქტობიციბულია და კაცთა გაადამიანებაზე—ადამიანთა ამაღლებაზე კი არა ფიქრობს, არამედ მხოლოდ თვის ჯგუფურ ყინთა გამარჯვებაზე, რადაც უნდა დაუჯდეს იგი...

ურთიერთის არა საკადრისი დევნა, იღის სახელით ხშირად თვის ქვენა მისწრაფებათა გამომხეურება, —ი რითა ხასიათდება ჩვენის პრესის დიდი უმეტესობა. პრესაში რომ არ იკარგეს ასეთი თარეში, ახლა თეატრს გადასწყდენ და ისე წარმოიდგინეს, თითქო ჩვენ „თავდა-აზნაურული თეატრი“,

მუშური და სხვ. გვეკონდეს. ამ ნიადაგზე გალანდღეს ახალგაზდა რეჟისორი ალ. წუწუწუნავა, რომელიც ქართ. დრამ. სახ. გამგეობამ (და არა „თავდა-აზნაურულმა თეატრმა“) მიიწვია რეჟისორად. აქაო და ქართ. დრამ. საზოგადოების დასის წარმოდგენები სათ.-აზნ. შენობაში იმართება, ამიტომ ვახდა „თავდა-აზნაურული თეატრი“?

ნუ თუ ამ თეატრში გამართულ ქართულ წარმოდგენების დამსწრე იგივე ქართველი დემოკრატია არ არის? როდის იყო რომ ამ თქვენგან ათვალწუნებულ „თავდა-აზნაურულ თეატრში“ ხელი შეგიშალეს თქვენი რეპერტუარი შეგეტანათ?

და ნუ თუ ვასაკიცხია, რომ ნიჭიერი და ხელოვანი რეჟისორი ამ თეატრში მივიდა თვის სასცენო ხელოვნების გასავრცელებლად—ქართველი ხალხის სასამსახუროდ?

არა, ბატონებო, პარტიულობა—პოლიტიკანობა ყველამ და ყველაფერში შეიძლება, ხოლო ხელოვნების სამეფოში კი არა!..

როდესაც საკუთარის ყინით გატაცებულნი ადამიანნი ისე აიბღღვლევიან, რომ ურთიერთს აღარ ინდობენ, როდესაც ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქცევა და შეუწყვეტილი გმინვა გაისმის აზრით დამოხმებულ სიცოცხლეს მოწყურებულ ადამიანის, ირგვლივ შურღვარძლიანობა გამეფდება, როდესაც სინდისი მიეუჩნდება, თვალთ ველარას ჰხედავს, ყური ვერ იმსმის და მამხილებელი კი არა ვინაა, მაშინ ხელოვნება უნდა გამოვიდეს გაავგულებულ ადამიანთა სამხილებლად და ნათელი გზის მაჩვენებლად...

სად ხარ, სად, მიუდგომელი მხატვარო, ცხოვერების სურათ—თელოგებში სინამდვილით ჩამომხმებელი მწერალო?

მხატვარ-ხელოვანო არ შეგფერის ემონო ვისმეს, ამიცი თ ნიქსა გზა ფართო“ და შენი დანიშნულება მარტო მიხან-შეწონილი ქეშმარიტების სამსახური იყოს...

სიმღერა სკოლებში

„ოქტობრი და ცხოვრების“ მე-18 №-ში წაგიათხე ბ. გ. სუფარელიძის წერილი, რომელიც ეხებოდა ბ. დ. არაიშვილის თხზულებათა. ამ საკულისხმო წერილმა ბევრი რამ გამახსენა, რაც სრულიად დასტურებს ბ. სუფარელიძის წერილის შინაარსს. სიმღერა-გალობას რომ დო- დო მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში საზოგადო და კერძოდ სკოლებში, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. სიმღერა და გალობა - ჭირის, ღვინის გამოთქმული და ღვთის სადიდებელი, გედრების გამოხატულები ზომისა როგორც ჰამას-სმას არის ცხოვრებაში საჭირო, ისევე მიუცვლილებად საჭიროა სიმღერა-გალობაც; ვისაც ეს ასე არა სწამს, ის ცხოვრების დაუკვირვებელი ადამიანია. ტირისქაცვი, ამ დროს ზარს მღერის და მით მწუხარებას ხატავს; ღვინის დროს სჯერო სიმღერებს მღერის და ამ სისამიფიხო ხმით სტკბება; ღოგვის დროს-კი სხვითი საცალობელს გალობს და უერთა სმენის დამტკობებელი ხმებით ადავლებს დადალებას ზეცათ. ეოგელ უერთა სმენის ადამიანს, თუ გინდ მის სრულიად გალობის ნიჭიც არ ქონდეს, გალობა-სიმღერა უთუოდ ესამიფიხება; ერთ-მეორესაც კი სმირად შეხვდებით, როცა მარტო ჩთვიქრებულა იხის, ან ტახში მიდას, რაღაცას დიდიხებს. მრავალი მგალობითი წაგვიკითხავს, რომ მხევის სმენაც კი დამტკობარ უერთა დამტკობებელი სიმღერის სმენით და მით მხეცური გაფთრება დაჭმშიადება. სამწუხაროდ ასეთ დიდ მნიშვნელოვანს და კულტურულ საკანს ჩვენში ძალიან მცირე უერთად-ღობა აქვს მიქცეულია. რა ქნას ბ. არაიშვილი-მა და გინდ მისთანა ათმა და ოცმა^{*)}, თუ კი ამ საქმისადმი საზოგადოების სიუფარული, თანაგრძობა, საჭიროების სიდადე და მნიშვნელო-ბა ამ გაორგედნა? გული გაგვდება, როდესაც ბ. სუფარელიძის წერილში ბ. არაიშვილის თქმულ სიტყვებს კითხვობით: ჩემი შედგენილი სკო-კოლო სიმღერები, სულ ოცდადე ცალია მტკი, არ გაურცვლებულა (თუმცა ამ გამოცემის შემდეგ ავერ ათი წელა!). ვის უნდა გაგურცვლებია

სასკოლოდ გამოცემულა წიგნები? უთუოდ სასახლო სკოლის მასწავლებელს, მაგრამ სამწუხაროდ ამ უკანასკნელთა ბანაკში ძალიან იშვიათად შეხვდებით ნოტების მცოდნეს, რომ მათ ნოტებსე დაწერილი სიმღერები სასკოლოდ გამოიყენონ. კადევაც ეს არის მიზეზი, რომ სასკოლო სიმღერები დაწერილა და უმიძრად აწვევა. რა საშუალება იხმარა ამ ნოტების გამოცემულმა წკითხვის საზოგადოებამ ამის გაგრცვლებისთვის საზოგადოდ სკოლებში? განმარტო დამტკიცა და უმიძრად დაწვობა კმარა სახელმძღვანელოსი! თუ კი რადეკენა ვრცელდება სკოლებში, სიმღერები კი რადე უმნიშვნელოა ჩველი სკოლებისათვის? ვინ და როდის დასწერა ამ სასკოლო სიმღერების სახალხო სკოლებში მიუცვლიბელ საჭიროებასე? მაგრამ არ შემოიღია გულწრფელად არ ღვიარო ის, რასე ვგრძნობ: ჩვენთვის უდადეკი და ფას-დაუდებელი დაწესებულება წ. კ. საზოგადობა ძალიან ცოტას ზრუნავს ჩვენს მამა-ბაბათა ხალხურ ცალობა-სიმღერის გაგრცვლების, ან სულ დავარგვისაჯან შემობრუნების შესახებ, თათქოს ცალობა-სიმღერა ზედმეტა ბარკი იყოლ ქართულთა კულტურულ დარგში. კადევ კარკი, რომ ამ დრო წიგნების გამოცემა უკისრია.

წელს 1 ივნისიდან ქუთაისის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსები გაანსნა; მიმიწვიეს ქართული ცალობის მასწავლებლად. საოლქო სკოლების მეთავლეურემ ბ. დევ. ბაშკევიჩმა მითხრა: მასწავლებლები გამოცვადოთ, ცავუთ ორ, ან სამ ჭკუთად (группы); კარგად ნოტების მცოდნე ერთ წყობაში მოვათხო-სოთ და დანარჩენი კადევ რაგზო. გამობრძმ გვაჩვენა, რომ 90 კაცში ათიადეს მეტმა სრულად ნოტის არა იცოდნა. მე დარწმუნებულა ვარ ხონის კურსებულადც ასეთებო აქნებოდენ, თუმცა არ ვიცი აქ მასწავლებელ ცალობასე თუ არა, ა კ არუნდა არის ადებოული ცალობა-სიმღერის საქმე საზოგადოთ ჩვენში, მამინ, რადესეც რუსეთში და სხვაგანც მიდიოთნობით ხარჯვენ ცალობა-სიმღერის განსუმტობესულად და გასვრცელელად. კვირა და თვე ძალიან დი-რად გაივლის ისე, რომ რუსეთის სხვადასხვა ადეკოლიან არ მოგვივიადეს ბრეისკურანტებო: ნოტების ეს და ეს ახალი გამოცემა სახელმძღვანელო ივიადეთო. იწერს და ვიდულობს კადევც ბევრი, მაგრამ ქართულ ასეთ გამოცემის კი ქართულე განა ივიადეს! ასე, „მოდის“ მიმდეკვიბი ცახლავართ...

*) მართლაც ღვთით ახლა გვეყვს კომპოზიტორ გალამდებ-მეწრტებო.



საჭიროა ბ. ბ. სხახლხო სკალებს მს-
წლებს მიაქციონ უურადლებს სკალებში
სიმღერა-გალობის გავრცელებს და თანდათან-
ობით ნორტების შესწავლას ვინც არ იცის. სახეურ
სიმღერებს ისეავე მხამრელობა აქვს ჩვენს
სკალებში, თვითონც ენას.

მღვ. რ. ხუნდაძე

რეზოლუციები

(1607—1669 წ.)

ფურცლები.



რეზოლუციები ვან რინი

კაცობრიობის
მწვერვალნი, რო-
მელთაც, მავა-
ლითად, ექუთვ-
ნის ვიქტორ პიუ-
გო საფრანგეთში,
წამოგვიყენა არა
თუ მარტო მეც-
ხრამეტე საუკუ-
ნემ, არამედ მე-
ჩვიდმეტეამაც, და
მათ შორის შუ-
ქურ ვარსკვლავი-
ვით ბრწყინავს
თვის თვალ-დამ-
ყენებელ სინათ-

ლით და ჩრდილავს თანამედროვე პო-
ლიტიკულ მხატვართა ბრბოს დიდი გენია რეზ-
ოლუციებისა.

რეზოლუციები დაიბადა ლეიდენში, მეწი-
სების ჰარმენ ჰარტიხონ ვან რინის ოჯახ-
ში, სადაც ვატიარა ბენდიერად და მშვიდად
თავის ბავშვობა. აქ მობრძლების აბეზო გრი-
ზლის და შდინარის ერთფეროვან სიმღერის
სმენაში დაებადა მას ხელოვნების სურვილი,
რომელსაც მაშინ მეცნიერებაზე არა ნაკლებ
პატივსაცემდნენ. პირველი მასწავლებელი
მისი იყო ავგილოზი ხელოვანი იაკო-
ბენბერგი, საშუალო მხატვარი; ამიტომაც
ავიერველი არ არის, რომ მის სკოლაში რეზ-
ოლუციები შეითვისა მხოლოდ ელემენტარუ-
ლი ტექნიკური ფანდები. სამის წლის შემდეგ
ქრამეტის წლის ჰაბუკი რეზოლუციები მიე-
პარა ამსტერდამში ლისტმანს, რომელსაც სწამ-
და მხოლოდ იტალიური ხელოვნება და თა-
ვის ჩრდილოეთის ბუნების გამოხატვაში ჰაბ-
უჯდა მას. საბენდიეროდ, ლისტმანს ნაძა-
რადემა სტილმა არ იქონია გავლენა შვიტოდ-
ზე, რომელმაც, სამაგიეროდ, შეისწავლა
იტალიისაგან ქვასა და ლითონზე ქრა. ამი-

თი ვათავდა რეზოლუციების სწავლა. მხატვარი
დაბრუნდა სამშობლო ლეიდენში და მიჰყო
ხელი თავისუფალ მუშაობას.

რეზოლუციების ქმნილებანი—გადაშლილი
წიგნია მისი ცხოვრების გზის უმთავრეს საფე-
ხურების და მხატვართან დახლოვებულ პირთა
ჯგუფის. უკანასკნელი შეადგენდნენ: მამა მი-
სი, ლეიდენელი მეწიესწავლე, მოხუცი, დაბა-
ლების თაყვანის მცემელი, დედა, კეთილი და
პატიოსანი მეუღლე—სასკია, უდროოდ გა-
მოსალმებული წუთის სოფელს, უკანასკნელ
დღეების ერთგული და საყვარელი ამხანაგი—
ჰენრიკ სტოფელსი და, დასასრულ, შვილი
მისი, სწეული და პოეტური ტიტუსი. ამ
ძვირფას ადამიანთა ჯგუფს რომ მიუმატოთ
მხატვრისათვის არა ნაკლებ ძვირფასი ბუნება,
სრულიად იქნება ნაჩვენები ის. რისადმიც
უცემდა რეზოლუციები გული. ბუნებას რეზ-
ოლუციები ხედავს სულ სხვა თვლით, ვიდრე
ალორძინების ხანის იტალიელები; ხასიათი
მას ურჩევნია სილამაზეს, და ხელოვანი სტი-
ლოზს გადმოგვცეს შ-ნაგანი აზრი არა თუ
ხაზებში, არამედ სინათლის დახმარებით. სა-
შუალება, რომლის შემწეობით რეზოლუციები
შეისწავლიდა ბუნებას, ნამეტანი მარტივია:
იგი მიუჯდებოდა სარკეს და ყალბით ხელში
შეისწავლიდა ადამიანის სახის სხვა და სხვა
გამომეტყველებას, ეს კი მისთვის ადვილსაქ-
მედ ითვლებოდა, რადგან იგი შესანიშნავი
მიმისტი იყო. ჩვენამდის მოაღწია მრავალ
მის, დედის და მეუღლის სურათებმა, და
ეს ერთის შეხედვით უცნაური მოკლენა აიხ-
სნება იმიით, რომ ხელოვანი უცქეროდა თა-
ვის თავს და ოჯახს, როგორც უფასო ცოც-
ხალ მოდელებს, რომლებიც ყოველ წუთს
მზად არიან გემსახურონ.

რეზოლუციების მხატვრობის ტექნიკური
მხარე მიუბამებელია მახვილს, ბნელად შე-
სამჩნევს გადასავალს ნათელიდან ბნელზე იგი
დღებულობს ისეთ ვასაოკარ გზით, რომლის
თანასწორი შეძობება ინახოს მის თანამედ-
როვე ისპანიელ ველასკოში თუ. სანიხოა
მასთანაც ის. რომ რეზოლუციები სკოლის ტეხ-
ნიკას შინაარსის მიხედვით: ასე, მისი ვოზი,
ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მტკიცე მოხუცის თა-
ვის ნახატში, ახალგაზრდა ქალის სურათში
გარდაქცევა ნახად და ჩვილად.

რეზოლუციები ხატავს ყოველგვარ თემე-
ბზე: ისტორიის, დაბადების, ჟანრის და მი-
თოლოგიისაზე, თუმცა დაბადების და ისტო-
რიისაზე უახლოვებს ჟანრს და პორტრეტს.

ყველაზედ უფრო ცნობილ ნახატად და-
ბადების თემეზედ ითვლება აგარდამოხ-



გარდამოხსნა

სნა. აქ ხელოვანმა გამოსახა ის წუთი, როდესაც იოსებ არითიელი შევირდებთან ერთად მანდილოსნებით მივიდა ჯვართან ქრისტეს გვამის ჩამოსაღებად. სამს უკირავს გარდამოხსნილი გვამი, მეოთხე კი ასულა ჯვრის თავზე, გადახნეკილა თავებზე და შევლის, რათა ფრთხილად დაუშვან ზეწარზე დალოურჯებული იესო; აქვე გვერდით მდგომი სინედრიონის წარმომადგენელი ოსმალურ ტანსაცმელში გულ-ცივად თვალს ადევნებს მათ; ირგვლივ სიბნელეა; მხოლოდ ქრისტეს გვამში ნათელი და სინათლეს აფრქვევს აქ მყოფთა შევირდების და მანდილოსნების სახეებს. ესენი, როგორც ტიპებით, ისე ტანსაცმელებით, ჰოლანდიელები არიან. მათ სევდით მოკულ სახეებში გამოხატულია ნამდვილ ადამიანის ვნებათა და გრძნობათა მთელი ზღვა; არ არის მათში არავითარი მისტიკა, იდეალიზაცია, ტიტანიზაცია, რასაც ვხედავთ მურილიოს, ბოტიჩელის და მიქელანჯელოს შემოქმედებაში, და ამ მხრივ რემბრანდტი უახლოვდება მხოლოდ ღვთიურს ლეონარდოს. ამ სურათის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნაკლი არცაა შედეგი დაუდევნებობის და ისტორიულ და არქეოლოგიურ სიმართლის შეგნებულ უარყოფისა რემბრანდტმა განაცხადებულ თანამგაბმულეთათვის დაბადების გმირი მითი, რომ გამოსახა იგინი თანამედროვე ჰოლანდიელების სახეებით, და ამ საშუალებით გაუღებამა მორწმუნეთ უმეტესი სიყვარული მათდაში.

დავ. კილოსანიძე

(დასასრული იქნება)

მ ე ზ დ ვ ა უ რ ი

(ძღვანდ პოლა — ძეს)!

.. ახალ ცხოვრების მეძიებელი თავგამოდებით მიარღვევდა ზღვისა ტალღებს...

ამობოქრებული ზღვა ნაფოტივით ათამაშებდა მის ტლუ წავსა...

ირგვლივ ქარიშხალი ღმურდა...

ყრუ-სახარელი ხმა მოისმოდა..

მეზღაური-კი, მით უფრორე განმტყელებული, ხელმოუშვებლად ამუშავებდა ნაის მოსასმელთ და ტალღით ტალღას გადადიოდა..

ზღვისა ნაპირას, მყრ ნიადაგზე, დამკვიდრებულნი, შეუცნობელის გამომეტყველებით გასცქეროდნ უშიშ მეზღვაურს — ტალღათა შორის ბრძოლით მიმქროლავს...

— სულელია, გონ-დაფანტული!

— ძალად ეძლევა უქველ სიკვდილს!

— აბა თუ ერთი უკუ მოიქცეს!..

— საღ მიღის, სადა, ეგ ბედით კრული!

— განა მიახწევს საბრალო კიდეს?!

მოისმოდა ზღვისა ნაპირას დამდგართა შორის...

ის-კი წინ ისწრაფოდა... ზღვის გაღალისკენ მიილტვოდა...

... უმუხთოლა სვემან თავგანწირულსა... უცებ ეჯახა უხეში ზვირთი, მიღეწა ნაფ და ჩაითრია...

— ოჰ, უბედურო! ეძებდი სიკვდილს და ხომ ჩაინთქე?!

გაისმა ხმა ნიშნის-გების, თან სინანულის ზღვისა ნაპირზე უქმად მდგომთ შორის..

მაგრამ, აგერა, კვლავ ამოტივტივდა ფიცარზე მჯდომი და თავს მოექცა ბობოქართალღებს... დამსხვრეულ ნაის ერთსა ფიცარს ჩაბტყევიბა: ფოლადის რწმენით, უშიშარ თვლით; უდრეკის გულით; ვით ქანდაკება მარმარილოსი, წინ იცქირება, წინ სიდანთუმც არა სჩანს რა, მანც ღრმად სჯერა, რომ იქ იპოვის, რასაც მიეღტვის...

ეს არის მისი ხელმოსასმელი...

ბრბო-კი უცნობი, ერთ ადგილს მდგარი, აზრ-გაურკვევლად გასცქერის ზღვაზე მდგარად მიმქროლავს...

და მისი არაა, არა სჯერა-რა!..

...მხოლოდ მძლავრი სტიქიონი უმღერის რწმენით თავგანწირულს დიდების ჰანგსა!..

იოსებ იმედაშვილი

1912 წ. მარტი 23

მეტეხის ციხე.



ლ. ს. მესხი

წიგნობარ-მთარგმნელი და სათეატრო მოღვაწე. ამ ვამალ ავად არის და ჭიათურის სამყურანლოში წვეს.

მე არ მინდა

მე არ მინდა მეფე ვიყო, ხელთა მეპყრას სიკბტრა, ხმალი, არ მსურს ხალხი უმხლს მიდრეკდეს, — მამაცი და არცა მერთხალი.

მე არ მინდა არც ღმერთობა, რომ მიწოდონ შემოქმედი... არ მსურს, არა, ზევიდანა ვიყო ტანჯვის მშვილად მხედი.

მე არ მინდა არც სიმიდირე, მრავალ ოქროთ პატრონობა, არ მსურს ამით შექენილი — არც მოყვრობა, არცა მტრობა! —

მე მსურს ვიყო ჩემი ერის დისტაქარი — ქირთ მკურნენელი, რომ ცრემლები განვაშორა, მტანჯველი და უშრობველი.

მე მსურს ვიყო ხალხის სულის გამომცნობი მეცნიერი, რომ მათ ფიქრებს შეუთანხმო ჩემი ნათქვამ — დანაწერი;

რომ არა სთქვან: „სუღად ლაყბობს, არ შეშენის მგოსანს ესა“, — რომ არა სთქვან. „ულდგილოდ იმღერა, ან დაიკენსა“!...

დ. ნინოწმინდელი

ქ. კირუნესი (ციმბირი)

ვანო მაჩაბელი

(მოგონება)

ბევრი რამ დიწერა ივანე მაჩაბლის შესახებ, ბევრი რამ ითქვა, მაგრამ მისი დაკარგვის შეე-ბნენი ისტორია, ჯერ კიდევ გამოურკვეველი დარჩა.

ისეთი პიროვნებანი, როგორც ივანე მაჩაბელი იყო, ცოტანი იბადებიან ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში, და მით უმეტეს გულსაკლავია მისი დაკარგვის გამოურკვეველობა. მუდამ თვალწინ მიდგია მისი ნათელი სახე. მწარე ფიქრებით შეპყრობილი ხშირად ჩემ თავს ვეკითხები: ნეტავ რა მოუვიდა ამ ღიღებულ ადამიანს, ვისმა ბოროტმა ხელმა მოუღო ბოლო?... ასეა თუ ისე, ერთი კი ყველასათვის ცხადია, რომ ივანე მაჩაბელი მსხვერპლი შეიქმნა ჩვენებური დაუნდობელი ბრძოლისა, იმ დროსი, როდესაც სიმაართლე კენესოდა, ქართველი დემოკრატიის ხმა სუსტი იყო და ყოველგვარ ქართულ საქმეებს ერთი გაბატონებული წრე განაგებდა ..

ივანე მაჩაბელი გავიცანი 1880 წ. იმ დროს სასტუმრო „ლონდონში“ ემსახურობდი ხელზე მოსამსახურედ. ამავე წელს (თუ არა ვცდები) ხსენებულ სასტუმროში გორის თავალ-აზნაურთა კრება იყო (შეიძლება ვისმეს სადილი გაუმართეს, არ მახსოვს). წარმოითქვა სიტყვებიც, ერთი თმაქოჩორა, მშვენიერი ყმაწვილი კაცი მეტად მკაფიოდ და მოხდენილად ლაპარაკობდა. ჩემი სული და გული ამ ყმაწვილმა კაცმა მიიზიდა: ეს იყო ივანე მაჩაბელი. ტალანში (კარბლორში) გამობრძანდა და მეც გამომელაპარაკა.

- შენ სადაური ხარ?
- რაკველი ვახლავარ.
- წერა-კითხვა იცი!
- ვიცი, ბატონო
- გაზეთსა კითხულობ?
- არა.. ისე... ძვირად...
- აი, წაიკითხე! — გადმომცა გაზეთი „დროება“ და მიბძანა: „ჩემთან მოდი ხოლმე, თითო გაზეთი ყოველთვის წაიღე და იკითხე... სხვებსაც წაუკითხე და შეაყვარე გაზეთის კითხვაო“ ამის შემდეგ ვანო მაჩაბელს არ შეუწყვეტია ჩემთან გამოლაპარაკება: სადაც კი

შემხედებოდა, შესაფერ დარიგებას მაძლედა ხოლმე. ასეთმა მისმა გულკეთილობამ მეც ვამათამაშა და 1881 წ. წერილი მივწერე, რომელშიაც მადლობას უცხადებდი და თანაც ვთხოვდი, „დროება“-ში ჩემი წერილი მოეთავსებია, როცა კი მივწერდი. ამ დროს მე ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, მეგონა, გაზეთი მარტო თავად-ახნაურების საქმეა და გლეხის წერაღს გაზეთში არ მოათავსებენ მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ წერილითა ესთხოვე, მე მაინც პირველი წერილი სხვისი სახელით ვავაზენე,—ზედ მოვაწერე: „ახნაური კონსტანტინე ჯაფარიძე, სასტუმრო „ლონდონი“.

ეს წერილი არ დაიბეჭდა. სასტუმრო „ლონდონში“ ცხოვრობდა მხატვარი ზიჩი. მასთან ბევრი ქართველობა დაიარებოდა. არ ვიცი, მასთან, თუ სხვასთან, ვანო მობრძანდა „ლონდონში“. მე სწორედ კიბეზე შევხდი. მომიალერსა და მკითხა „კონსტანტინე ჯაფარიძე რომელია, დამსახველო“.

მე გულწრფელად გამოვუტყედი და მოვახსენე, რომ წერილი ჩემი იყო. ვანომ გაიცინა, ბეჭეზე ხელი დაამდვა, შენიშვნა მომცა და თანაც მიბძანა: „ამ წერილს სიამოვნებით დავიბეჭდავ, მხოლოდ შემდეგში ვცადე უფრო გარკვევით წერას. აგრეთვე ნამდვილი ამბავი მომანწოდებ ხოლმე ხელზე მოსამსახურეთა ცხოვრებებიდანაო“. როდესაც ვანო მელაპარაკებოდა, სასტუმროს პატრონი ბ. ლეკონტი იქვე იდგა და ყველაფერს ხედავდა. ჩემ შიშვე ვანო მიუბრუნდა ლეკონტს და ლაპარაკი დაუწყო. იმათ რა ილაპარაკეს, მე ეს არ ვიცი, მხოლოდ ეს კია, რომ ამ ამბის შემდეგ ბ. ლეკონტი კარგა მეპყრობოდა და პირველ მოსამსახურედაც ვიყავი მიჩნეული, სადაც კარგა ხანს ვმსახურებდი და იქიდან დიდი დახმარება ვაფუწიე ჩვენს ღარიბ ოჯახს.

ვანო მაჩაბლის დაკარგვამ ჩემზე მძიმედ იმოქმედა და დღესაც თვალცრემლიანი ვწერ ამ ამბავს.

1890 წ. ბანკის კრებებზე ქართული თეატრის ქანდარავე დავიარებოდი. მახსოვს სასტიკი ბრძოლა... მახსოვს ილია ქაჭკავაძის მკეთერი, მომწამლედი ირონია ვანო მაჩაბლის

მიმართ... მახსოვს, მაგრამ ამაზე არას ვიტყვი, ამის გარკვევა ჩვენებურ სწავლულთა საქმეა. მე მწამს, რომ გამოჩნდება მიუღვამელი მკვლევარი და ნათელს მოჰყენს ამორი დიდებული ადამიანის ბრძოლის ისტორიას, რომელსაც ჯერ კიდევ შავი ზეწარი აფარია...

ვახილ კირვალიძე

ქ. ბაქო 1914 წ. *საქმეაღიქ!*



უღირსი „სამება“

სევედა-კაეშანო!

რათ? რათ ვახდი ასე ხშირი სტუმარი ამ უკანასკნელ დროს ჩემი უიმისოდაც და ავადებული გულისა?!

რათ არ მაკმარებ ესდენ ტანჯვას, ესდენ ვაებას, ესდენ წამებას?

ძველი ნაცნობი ხარ... უწინც ბევრჯელ მოგიმართავს და... უკუტკეულხარ დამარცხებული;—მაშ ახლა რაღას ფიქრობ, ვითომ დამამარცხო?

ნუთუ გგონია, რომ უკვე ნიადაგი მოიზაღე და მკვიდრად დაისადგურებ ჩემს დაწყლულეზულს გულში?

ძლიერ შემტდარხარ, თუ ასეა!

არა, და ათასჯერ არა, გესმის?!

გესუნარევი იყო ჩემი ცხოვრება, მარტო ვიყავ, უმეგობრო, სულით ობოლი, მაგრამ ისე მაინც არაოდეს არ დავაბუნებულვარ, რომ სული დამიზიანო!

ამას ვერ შესძლებ!

* *

„შავბედიოთა ყორანო!“

ან შენ რას დამჩხავი აგრე გულსაკლავად?

იქნება გსურს უიმედობა, სასოწარკვეთილება ვაამეფო ჩემს ვითომ დაჩიავებულ გულში?

არა და ათასჯერ არა!

უწინაც არა ერთხელ განვმარტოვებულვარ, მოცვილებივარ შურიტა და გესლით გულსავსეთ და, ოცნებით გატაცებული, გვეჭრილვარ, მეც არ ვიცი სად...

ყვავე-ყორანთა მთელ გროვას დაუჩხავებოდა თავზე...



მაგრამ!

ექვრც არ შემპარვია, რომ გამარჯვებულნი მე უნდა დავრჩინილიყავ და ასეც მომხლარა... უშედევით ჩაუვლია შენ ყვაა-ყვას!

* *

„ჩვიანობის სახიერებავ“!

ნუთუ არ მაქმარებ სულის ქენჯნას, რაც შენის მეოხებით გამომივლია?

რათ მეტორილიაღები, რას მდევ აჩრდილივით, რა ჩავიღინე საექვო, რომ იუდათა რიცხვი გამირავლევ და თითოეულ ჩემ მიერ გადადგმულ ნაბიჯს ითვლი?

საშუალება ცუდი და არა საკადრისი ავირჩევია ჩემდა დასათარგუნავად!

აწ უკვე აღარა მჯერა-რა შენი... რადგან გულს გრძნობა წამირთვი, სულს—სიმშვიდე, ცხოვრებას შინაარსი და კვლავ ვაიუბედურებას მიქაღი!

რა დაგიშავე?

ნუთუ დანაშაულად იმას მითვლი, რომ იყო დრო, ოდეს შენს უძვირფასესი არავინ მყოლია ამ ქვეყნად, თვით სიყვარულის სიყვარულად გასახადე?

და ახლა კი... ახლა სულიც შეგშურდა და მის წართმევასაც ლამობ?

მაგრამ კარა, გესმის?!

ამის უფლება არა გაქვს!

* *

„უღირსო „სამებავ“!

რათ შეგშურდა „ჩემი სულის მეგობრის“ სისპეტაკე? ვანა მიტომ, რომ შენ არ გგავდა ის, მთვარესავით სხივ-მოსილი, უშუქმიანიარე?

ვერ შეეგუე მის თვალისმჭრელ კდემი-მოსილებას...

ის ხომ ნაზია, ვით გაზაფხულის მორცხვი ია, წმინდა, უმწიკვლო, ვით კორდინან-კორდზე მოლიკლიკე ანცი და მოუსვენარი ანკარა, პირმცინარე—ვით ვარსკვლავ-მთვარით მოვარაყებულნი ცა და ასეთ სანახობას-კი არ არის მიჩვეული შენი თვალი,—წყვილია შენი სამეფო!

მეგობარს აღერსი სწყურდა, მიფერება, ნანინა; ამას ითხოვს ჩემგანაც, მეგობრისაგან! და შენ კი სულს მიხუთავ...

გშურს ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მანც ვიგარძო ნეტარების წამი!

ვერ შესძლ მეგობრის უმწიკვლო სულის დაჩრდილვა და მხოლოდ ტალახის სროლა გაუბედვე ტკბილი ოცნების სამელობელოში მონავარდეს.

და რადგან ვერ მისწვდი, შენ მიერ ნასროლმა ტალახმა შენვე გაასკეცებულად გაგაბიწვირა.

ღილა! მიყვარს... მიყვარს „ჩემი სულის მესაიდუმლე“! და ვერც არავინ დამიშლის ამას..

მიყვარს იგი გრძნობით, რომელს სიზმრადაც ვერ წარმოიდგენ შენ! სპეტაკია ჩვენი გრძნობა და შენთვის კი უცნობია ასეთი ხილი!

გ. მუმლაძე

ანტუნის გამარჯვება

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ანტუნმა გამარჯვა!

ბერსტეინმა, ბრაიმ, მინისტრმა ბრაინმა, კარემ და სხვებმა წამოაყენეს ანტუნი, რომელიც ისე გაკოტრდა, რომ სცნოვრებულად თითქმის უნდა თაქტრში ეთამაშნა, როგორც ანტისტს. დღეს თუ სვალ-ვი ანტუნს ისეთივე მდიდარი იქნება ნავთობად და ენერგიულად, როგორც იყო, და სუენ უველანი შოუთმუნად ვულოდებით ახალ თაქტრს, რომელზედაც ანტუნი თვის კომფერანსში დანარაკობდა.

უველან გასეოებმა აურ-ზაური ასტესა, ეველან მქერლეებმა, რომელნიც ანტუნმა დააყენა გზაზე, შეერთდნენ და ამ დღებში ოპერაში გამართავნ წარმოდგენას, ანტუნის სადღასწაულად და არა სსსარგებლოდ. ამაზე დიდი კამათი ქჭონდა კომიტეტს და დადგინეს გამართონ ეს დიდებული წარმოდგენა და სთავაზობა. ედმონდ როსტანი წაიკითხავს შოქმას, რომელიც სჯანგებოდ დასწერა ამ სჯამოს შესახებ. ედმონდ როსტანი თვითონვე წაიკითხავს,—განა შეიძლება უკეთესი რამ?!

მიუხე სიუდი, იხადორა დუნკანი და რუსული ბალეტა მიიღებს მონაწილეობას და სხვა. დასდგამენ ზიესს, რომლის მაზან-სცენა იქნება all Antoine

ერთი სიტყვით დადგასწაული იქნება ისეთი, როგორც ჟერ ზარბის არ უნახავს!


უკვე შეერთვლია 60700 ფრანკი ნეტავი ამას, ვინც ამ დღესასწაულს დაესწრება. ჩვენ უველანთან ბედმა შეეცინარაში გადმოგვავდა და ამ დიდებულ უქმეს ვიკემოფნებთ მსოფლოდ სურათ-გასეოებთ

Georges De Barry

სრულიად საქ. სცენის მოღვაწეთა
ყრილ. მოგროვილი ყვავილები

პ. ნინოშვილის ხმოვნა

(გარდ. 20 წ. შესრულების გამო)



არჩილ ჯაჯანაშვილი

...ახლა რა ჩვენი ბრალია, რომ თეატრალური კრიტიკა არა გვაქვს და რეცენზენტები არ ვარჯანან?.. ადვილი ხომ არ არის ხუთ-ათწელიწადში ქართველი ქართულად წერვას, ქართულად აზროვნებასა და ქართულად საქმიანობას შეეჩვიეთ?!

ირგვლივ ბნელოდა... დაპკარგოდა სინათლე მივარეს, ნისლის ბურუსში გახვეულსა ეძინა არეს; იკლაკნებოდა ბუმბერაზი ღრუბელი ცაზე, არ ნავარდობდენ, მღუმარებდენ ტალღები ზღვაზე. — ობლად მოარულს ეკლიან გზას არ უშუქებდა ვარსკვლავთა გუნდი, სხივთა ფრქვევით არ ციმციმებდა! მხოლოდ-და მოთქმა ჩაგრულისა თავს დასწიოდა, და, უმეგობრო, სანათითა ბნელში ვილოდა ნაფიქრ-ნავარძნობსა თავის გულში ბინას აძლევდა და, ვით ცრემლებსა, თეთრ ქაღალდზე შავად აფრქვევდა. ასურათებდა მისს გარშემო ხდებოდა რაცა: მისს შენაქმედში იხატუოდა მიწაც და ცაცა!.. მალე დაქანცა, არ დაინდო სევდამა მწარემ, ჯერ ახალგაზნა უღმობელმა ჩანთქა სამარემ!.. ჩაგრული ხალხი რიდეს იფხრეწს. . ახელს თვალებსა, მისგან დახატულს სურათს უმზერს.. იკრებს ძაღვებსა, და თავისს გულში ზრდის სიყვარულს აღმოუფხვრელსა, — ეგნატეს ხსოვნა აღფრთოვანებს მუშას-მშრომელსა!..

ობოლი მუშა



მუსიკოს ნ. სულხანიშვილის (X) ლოტბარობით შემდგარი გალობის მოყვარულთა გუნდი

(შარშან 20 კათათვეს ქ. თბილისში ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატისაკემლად გამართულ საღამოში მიიღო მონაწილეობა. დღესაც, 20 ივლისს, იმართება თბილისში ილიას საღამო იმავე ნ. სულხანიშვილის გუნდის მონაწილეობით).



ქართველი მოღვაწე ქალები



ვინ არ იცნობს კატოლიკოსს — ეკატერინე გაბაშვილისას, რომლის მადლიანი კალმით ნაწერი მოთხრობანი დიდის ხალისით იკითხება და მთელ თაობათა გრძნობა-გონებას წრთენის და აფაქიზებს. ჯერ კიდევ 70-იან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე გლეხთა შორის სწავლა-განათლებლის გავრცელების შესახები წერილით, ხოლო მოთხრობათა წერა 80-იან წლებში დაიწყო და დღემდე კალამი ხელიდან არ გაუგვიდა და ქაბუჯურის რწ-



ან. თუმ.-წერეთლისა, ეკატერინე გაბაშვილისა და კეკე მესხისა.

საქართველოს ისტორიაში ქართველი ქალის ხატება შარავანდელით არის მოსილი; მისი საუკეთესო წარმომადგენელი — ინო, თამარი და ქეთევან — დღესაც ჩვენში უზომო აღფრთოვანებას იწვევენ. ქართველი ქალი იყო ოჯახის კერის წმინდად დამცველი, ქმრის მარჯვენა ხელი, მტკიცე მამულიშვილთა აღმზრდელი, გაკვირვების ხანს სამშობლოს მესვეურ-მებატრონე. დაპყრობა ქართველთა ქალთა მამულის სამსახურის ადელი და ჩვენი ცხოვრებაც მოღუნდა.

ლოდინით მოღლილი ჩვენი თვალი სასოებით შესცქერის ქართველი ქალის კვლავ აღდგომას — ფენიქსისებრ განახლებას ჩვენის ცხოვრების მაჯის ცემის გასაძლიერებლად.

ჩვენ და საუკუნოდ ჩვენს გაუკუღმართებულ დროში უკვე იჩინეს თავი ქართველთა ქალებმა სხვა და სხვა ასპარეზზე — სცენასა, მწერლობასა, საზოგადო საქმესა, სწავლა განათლებასა თუ სხვა დარგში. განზრახვა გვაქვს დროით დრო მკითხველთ მივარდით სახელმოხვეცილ ქართველ ქალთა სურათ-დახასიათებანი.

ზემორე მოთავსებულ სამებას — კატოს, კეკეს და ტასოს — უკვე იცნობს ჩვენი საზოგადოება: ამ ქალთა დაუღალავმა მუშაობამ ღრმა კვალი გაავლო ჩვენის საზოგადოებრივი გათვითცნობიერების საქმეში.

მენით შესტრფის ჩვენის ქვეყნის წინსვლა-აღორძინებას. მწერლობის გარდა, იგი ცნობილია ვითარცა ბევრ საზოგადო საქმის მონაწილე, ქალთა ქრ-კერვის სკოლის დამფუძნებელი, ჟურ. „ჯეჯილის“ ერთი სულის ჩამდგმელთაგანი და ქალთა უფლებათა მდგარი დამცველი. მადლიერმა სამშობლომ 1912 წ. გადუხადა 40 წ. მოღვაწეობის იუბილე. მისი თხზულებანი ცალკე წიგნებადაა გამოცემული. ამ ჟამად ცხოვრობს ხან თბილისსა და ხან თავის სამშობლო სოფელში — ახალქალაქში, ბედნიერ შვილებით და შვილიშვილებით გარშემოხვეული.

მას მხარს უმშვენებს ჩვენი ბავშვების დეიდა ტასო — ანატასია თ.-წერეთლისა, მოზარდი თაობის საყვარელი მოღვაწე, მრავალ-მოთხრობა-ამბავთა მთარგმნელ-გადმომაკეთებელი. მან შექმნა „ნობათის“ შემდეგ ერთადერთი რიგიანი საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ (დაარსა 90-წლებში), რომელსაც დღესაც ყმაწვილურის გატაცებით აწარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული გამოცემლობის საქმე ფრიალ ძნელ პირობებში სწარმოებს. მისივე რედაქტორობით გამოდიოდა 1893—1898 წ. „კვალი“, რომელსაც საკუთარი ფული ბლომად დახარჯა გადმოაკეთა და გადმოთარგმნა საყმაწვილო პიესები. 1910 წ. გადახდილ იქნა „ჯეჯილის“ არსებობის

20 წლის თავის დღესასწაული. დეიდა ტასო საგანმანათლებლო, სამოსწავლო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომებაშიაც ფრიად ცნობილია. იგია ასული მეომნის მ. თუმანიშვილის, ქვრივი გ. წერეთლისა, დედინაცვალი მწერალი ქალის ელ. წერეთლისა და სახელგანთქმულ მეორე სათათბიროელ ხალხის წარმომადგენლის, აწ დასჯილის კაცი წერეთლისა.

მათი თანამოღვაწეა ნეტარხსენებულ სერგეი მესხის ქვრივი კეკე, მელიქიშვილის ასული. იგი ცნობილია განსაკუთრებით ვითარცა სასკოლო საქმეებში მომუშავე და "ჯეჯილის" მახლობელი თანამშრომელი.

აი, ამ სამთა ქალთა მოღვაწეობა ჩვენს

საზოგადოებრივ განვითარების ისტორიაში წითელი ზოლივით არის ჩაქსოვილი: მათ იმ დროს გამოსდგეს ფეხი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე, როდესაც არა თუ ქალი, კაციც იშვიათი იყო, და საოცარის თანდათანობით, ხასიათის სიმტკიცით გაავლეს სექვეყნის უანგარო სამსახურისა...

დაე, ჩვენმა ახალგაზდა ქალებმა მუდამ თვალწინ იყოლიონ ამ ღვაწლმოსილ ადამიანთა ქალარა-თეთრით შემკული სახენი, მათის მაგალითით აღფრთოვანდენ, და საერო-სახალხო ასპარეზზე მხნედ იმუშაონ: ქვეყნისთვის უანგარო სამსახური უკვალოდ არ იკარგება!..

ნოსებ არიმათიელი

თავ. ალექსანდრა სუბგათაშვილი-იუჟინი

(გაგრძელება. იხ. "თ. და ც." 19)

II

ჟურნ. "თეატრი და ცხოვრებისა რედაქციის მონდობილებით ანდრეში ვინახულა თავის სახლში. მონდობილი მქონდა გამოვსახსებოდი მთავალ ქართულ სათეატრო მოღვაწეთა ურდობის შესახებ, ამ ურდობაზე წამომდგარ საქითხებზე და ქართულ თეატრზე საზოგადოდ.

— ქართულ თეატრს მე არ ვიცი, ისე რომ კარგვით არ შემძლია რაიმე ვთქვა, ვფიქრობ კი, რომ ქართული თეატრიც უნდა მიადიდეს იმ გზათ, რა გზაც არის სასურველი საზოგადოდ თეატრისთვის; სურთოდ გეტყვით ჩემ შთაბეჭდილებებს და სურვილებს, რომელიც გამოუწვევია თეატრზე ფიქრს და მრავალ წლის დაკვირვების, როგორც დრამატურგიას, ისე მხიბობის და რეჟისორისას.

არვის, ვისაც კი თავლი უდევნება თანამედროვე სცენის ბედისთვის, არ შეუძლია უარუოს, რომ იშვიათა ხელაფნება არის ისე მდირე ხარისხით დაცული ეოველვარ მოდის და საზოგადოებრივ განწყობილების გაღვინისგან, როგორც თეატრი. ამუხის სამსახურს არ უყვარს ამაკბა ათქვა ერთხელ ზუსტი მანამ სიტყვებს არც კვდა დაუკარგავთ მნიშვნელობა. თეატრის ახლოახლა საშინელი აურხაურია. არ აცდის ეს ამას, რომ დასრულას დაწყებული და ეოველ რქმე-

ნას უკარგავს თავის თავზე თეატრის მსახურთ, რომელთაც ტაღანტი შეტი აქვთ, ვინემ ნაჭია, რომ თავი დააწვიონ ამ მზაურობას. მე აქ არ დავიწეებ საზუარს იმ ანანურ აქსიამასზე, რომ თეატრი არ შეიძლება გზადან კაოდრად, არც ტრბუნად სხვადანსხვა აზრის სანდობაგანდომ, ან ესტრადათ კოსტიუმებში დიტერატურული კითხვასთვის, არც მუხუემად და გამოფენად ისტორიულ კოსტიუმებისა და აკესსურებისა. თეატრის დანიშნულება, მისი აზრი არის ცხოვრების ჭეშმარიტი და ეოველმხროვი განსახება მინიატურაში, ტიპურ გამოჩენაში, რისგანაც შედგება ცხოვრება. ეს მთავარი მიზანია. ეს არ უშლის თეატრს, რომ იმან იქნაიოს განწყობილება კაოდრანთან, ტრბუნანთან და ესტრადანთან, როგორც სურთოს კერძოსთან. თეატრმა უნდა განახროციელოს მხოლოდ ის ნაწარმიანი, რომელიც ხსნიან ფილოსოფიურს, სოციალურს და სამეცნიერო კითხვებს, მაგრამ არა მარტო ლაპარაკით ან განწყობილებათ დიდლოცის ფორმაში ჩამოსხმულით, არამედ მინატურულ დასურათებით იმ მოვლენათა, რომელნიც გამოუწვეულია არიან ცოცხალ და ტიპურ პიროვნებათა ინდივიდუალურ ნებისყოფით. რამდენადაც არის განსხვავება სადხის ფისიხლოგიას და ერთეულ პიროვნების შორის, ისეთივე განსხვავებაა დრამატურგის სცენიდან რომ



ღანაზობის და იმ მიმდებარის და გზების შო-
რის, რომლითაც ელანაზობებიან შვითხვედლებს
წიგნიდან. დრამატურგო შიანაზობებოდა მსოფლი
დოლოგოთი. ბელეტრისტს შუქდოდა დანსრულე-
ბულად გამოთქვას თავისი აზრი სან გვერდზე,
როგორც მანასანს, ორანს გვერდზე, როგორც
ტურგენივს და ათას ორასზე როგორც ვ. ჭიუ-
კოს. ბელეტრისტს შუქდოდა მისცეს საშუალება
შვითხველს დატოვოს რომანი რამდენიმე სხით
და გდანაწეს გვერდზე, ისევე დაუბრუნდეს თუნ-
და ერთი წლის შემდეგ, როგორც ეს ხდება
სოფლმე რიცა გურნალებში იბეკლება რომანი.
დრამატურგო კო იძულებულია მიუღოს თავისი
სათქმელი ერთ სელამოს სთქვას. ასეთივე ზო-
მა აქვს ბელეტრისტს მოქმედ ზიროთა ანჩევის
დროს. მას შუქდოდა დაუბრკოლებლავ აიღოს
რამდენიც უნდა ზიროვნება, მაშინ, როდესაც
დრამატურგო მიჯნაჭული არის ბიესის ერთი-
ნობაზე. ზერეთვე განსხვავდება დრო, რომელიც
არის სავანი ბელეტრისტის აღწერის და დრამა-
ტურგის; ზიროვნებს შუქდოდა დანაბლებადან სიკვ-
დალამდე მოიგებს; რამდენადმე ასე შერეოდა ბაღ-
სკი და ლ. ტოლსტოი, მაშინ, როდესაც
უკანასკნელმა უნდა აიჩინოს სიუჟეტი, რომელიც
მალე მოიფიქროს ფინალზე.

დრამატურგს, როგორც ბელეტრისტს არ
შუქდოდა გამოიჩინოს თავისი ზიროვნება თხზუ-
ლებაში. მთელი მისი სუბიექტივიზმში გამოიხ-
ტება მსოფლი ბიესის შინაარსის აღებაში და
მომქმედ ზიროთა შერჩევაში. წინააღმდეგ თუ მო-
იქცა; ის შემდგარი. კლემენტოტი სტენიურობა,
ჩემი ფიქროთ, იმაში მდგომარეობს, „დამა-
ლო შიანი თავა ნაწარმოებში ისე, რომ მსატვა-
რი არ იყოთ შემხვეული რასაკვირველია, მო-
სიარული რენესანსტებს ეს სულ სხვანაირად
ესმით, მაგრამ ისინი შორს არიან ხელფიქრობ-
საგან. ამ უკანასკნელ ოდნავთ წელში სხვადსხვა
ქროლავს და მოდებმა დაბადეს ნაინნაირი ტერ-
მინები, ბიესის დირსების მხეგნებელი რადიუ-
რი“ მესამოციანე წლებში „მიმართულებიანი“
მაგრამ მალე მონათლავს სასიხლად ტენდენ-
ციურად და შეცვლავს „რეალურთა“ სოფლის
წრიალების გავლენით; „რეალურში“ ბიესებმა
ადილი დაუთმეს „ფისიხლოგოურ“ ფინის ბიე-
სებს, შემდეგში ხმარებაში იყო უბრლოდ „ლი-
ტერატურული“ ბიესები, სანამ არ შემოვიდოდდა

„სიმბოლოური“ ეს უკანასკნელი ახლანდ მოდამა,
ამასთანვე აზრდებულ ატრიბუტად ბიესის არის
დასარებული „სულიესკვეთობა“ (настроение).
მე კი ვერ წარმომიადგენია, როგორ შეიძლება
დაიწეროს არა თუ ბიესა, ორი სტრიქონი უიმი-
სოდ. ამგვარმა მიმართულებამ ცუდი ფორმები
მიადო ჩესოვის სკოლისთვის, რიცა მისი მო-
წაფეები მხედველობადან უშეგებლენ მრავალმხრივ
წარმტაც ტალანტს ა. ჩესოვისას და მარტო
უკანასკნელი ე. ი. настроение-თი უნდათ
ფიქსაცხვლო.

ცუდი და არა სასურველ მდგომარეობაში არის
როგორც ჩვენი, ქართული, ისე რუსული თეატრი.
ეგრობაში თეატრი არ არის ერთად ერთი არ-
ენა, სხადც თავისუფლად თავს იჩინს საზოგა-
დობრივი მიმდინარეობა, სხადც საზოგადო-
ბა გამოხატავს თავისი სიმბატის და ანტიბატის
ამ თუ იმ მოვლენათი შესახებ კრძოთ, ოკსახურ,
თუ საზოგადობრთა ცხოვრებისას. ამიტომ არის,
რომ ეგრობის თეატრი შუქდარებულ მსატვრუ-
ლია და ახლოს ძირითად დანიშნულებასთან. ეს
სრულიად იმას არ ნაშნავს, რომ თეატრი იმ-
დენს კარგავს საზოგადობრთა განწყობილებაში,
რამდენსაც იკვებს მსატვრობაში. ეს მსოფლი
იმას ნაშნავს, რომ ის ახლოთ ხელფიქრობასთან,
მისი ძირი დამრსულია მიმბოლორ ნადავსზე
და ამისთვის არ სწოლავს წვეწის სხვა ნადავო-
სას, უცხოთ მის სულთან და ბუნებასთან. ამი-
ტომ არის, რომ ეგრობის თეატრი მძლე კულ-
ტურული მამობრკეპულია, ვინემ ჩვენიში, სხადც
წარამარა აძლევეს ფორმებს, მისთვის მიუღებს
და უცხოთ.

როგორც სარკეს არ შუქდოდა განწიოს ზარ-
ბახნობა, ანდა კაღმის მიწის ხენა, ისე თეა-
ტრი არ უნდა გადაიქცეს გაზუთად და სა-
მიტინგო ზალოდ. რასაკვირველია, სანდისხან
შეიძლება საკოთაც გაუჭკვეთთ თავი მტერს
და კაღმის ტარითაც აჩაჩქროთ მიწა, მაგრამ
დაძერწიქნეთ, რომ მას მიმართავ მსოფლი
სასოწარკვეთილების დროს, როდესაც ენემი
ვევლადურს რან მოგზავლება ხელში.

ჩემი თეოსისიკან გამომდინარეობს, რომ სტე-
ნაზე უნდა იდგებოდეს ის ბიესები, რომელიც რა-
იმე განწყობალება აქვთ ცხოვრებისთან და გვერდებთან
ერთფიქრულ ტემპერამენტს. რუსულ თეატრს დას-
წოლია ეს სხვა ქვეყნებისადმი დამბრების

დროულა. ასე იქნება ალბად საქართველოშიაც. როსტანი, ჭუჭუბინი, ბასენი, ბრაკო, არაგუ, შინდელი, მე არ ვიღებ უნიჭო მწერლებს. უველა ზემო ჩამოთვლილნი მწერლებია par excellence, მაგრამ ცხოვრებას არ მოუწყვევია ისინი რუსულ თეატრისთვის. რა სჯარაა ჩვენთვის "მეტიკლე ჭინჭელი", "მამალი" და მრავალი სხე... ისინი არ არიან საქართველოში ვი არა უნ ჭოდ დაწერილი იყვნენ, არამედ ჩვენთვის მეტი ბარგია ფრანგულ ანდა სხვა სუფრადან გადმონათფრთხი. ჩვენ ხომ დაქიები არა ვართ სხვისა სუფრის დანტოვართ გამოძღვით. სულ სხვაა სამაგიეროდ "დაძირული ზარა". ეს წარმოება დიდებული ძალის. ან ვის რად უნდა, მაგალითად, კოვალის "რევიზორი", ან ოსტროვსკის "ქარიშხალი". მე შესძის ნაციონალური თეატრი არა განსაკუ რებით ეროვნულ სინამდვილას აღწერთ, არამედ როგორც განსახება უველა იმისა, რასაც საქვეუბო მნიშვნელობა აქვს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ტიტე ტაბიძე



დედინაცვალი

(დასაწყისი იხ. „თ. დ. ც.“ № 19)

III

იოგუ და მაკრინე

მაკრინე (შემოდის მარცხენა მხრიდან. შუახნის გლეხის დედაცაცა) საღამო მშვიდობისა, ბებია ელისაბედ!

მოდ. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შვილო.

მაკრ. (სახდომთ ინიავებს) ივ, რა ნიავია! ძლივს არა ვცხონდი.

მოდ. დღეს მანც ძალიან ცხელოდა.

მაკრ. ოი, ნულარა მკითხავ, ცხელოდა კი არა, ცოტას გასწყდა, კინაღამ დავიწვით.

მოდ. გვალვაა, გვალვა, მაგრამ ღვთის განგება დღია და მალე გააგრილებს ქვეყანას.

მაკრ. მე თუ მკითხავ ჩვენში ყველაზე ბედნიერი შენა ხარ.

მოდ. როგორ შეილო?

მაკრ. ისე, ხარ შენთვის ამ კოპწია სენაკში, მოშორებული წუთი-სოფლის ვაი-

ვალხას. აგერ ანკარა წყარო, ირგვლივ ფიჭვნარი, რაღა გიქირს, ისუნთქე და ისუნთქე სულის მაცხოვრებელი სუფთა ჰაერი. მართლა რა მგის პასუხია, დავიჯერო მართლა თხოვდება?

მოდ. ამბობენ.

მაკრ. ელიკოსი რა იცი, კი ხანია არა მსმენია რა, კიდევ ცუდათ ექცევა?

მოდ. უი, ნულარა მკითხავ, ჩემო მაკრინე, ნულარა. მომკლა, გამათავა მე ამ სკოლაობის ყურებამ. ღმერთო, ყოვლად შემძლე! რა დღეს შემასწარ ამ სიბერის ხანს, რა დღეს!.. რა ვქნა, რა გავაწყო მე ყველასაგან მოძულებულმა და უღონო მოლოზანმა.

მაკრ. სოფელი?

მოდ. იპ, სოფელი და სოფელი! განა არ იცი სოფლის ამბავი? თუ მოიყრუა, მორჩა. ყველას თავისი ჭირ-ვარამი აწულებს და სხვას რას დაგიდევს. მე შენ ვითხრა, ჩვენი მამასხლისი მიეკომავება. უი, მამასისხლად ექცეს იმას გიორგი მურვანძის ამავი. ამიწინად რო შეგჩივლე, იცი რა მიპასუხა: "არამდენი ლაწირაკი სოფლად დაიწრიბინებს, თუ ყველას გამოუდგეკი, ამიშენდება სწორედ ოჯახიო".

მაკრ. ათას ხატზე დავიფიცავ, რომ ისიც იმ წყეულს ეკურკურება.

მოდ. რა უქირს. ჩაივლო ბატონობა ხელში და, როგორც მოეპრიანება, ისე იქცევა. სულ დაატყავა ხალხი. ვა, ძალიან ცუდი დრო დავიდეგა, ჩემო მაკრინე, ძალიან. განა ამისთვის გემეტებოდა უბედურო ნუსა შენი ჰაწია?

მაკრ. ნასიდდრალის არა ისმის რა?

მოდ. შარშანს აქეთ, რაც ელიკოს ჩემად გაპარება უნდოდა, კაცმა არ იცის ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ.

მაკრ. მოკვდებოდა.

მოდ. ალბათ. აცხონოს უფაღმა. ოი, მე რომ მისი აქედან აპარგება მომავონდება: ჩამოუარა თავის ნუსას, იტირა, იპოტქმა და წაიღა.

მაკრ. აბა ეხლა კი მშვიდობით, ჩემო ბატონო, მეყოფა მასლაათი, თორემ ჩემი გონბაღლები სახლს გადამიწვავენ. დედაშელო



მგოსანი ქალი ნინო ჩარქოვისა

ქართულიდან რუსულად გადართარგმნა აკაკის „პატარა კახი“ ლექსად.

ბას, ელისაბედ, ხელამდე შენი საჩეჩელი მათხოვე.

მოდ. ინებე შეილო, ინებე, შენი კი-რიმე.

მაცრ. ეხლა არ შეგაწუხებ, აგერ ერთ წუთას გოგისას მივირბენ და გამობრუნები-სს წავიღებ.

მოდ. კეთილი, კეთილი.

IV

ივაივე და მალხაზი

მალხაზი (შემოდის მარცხენა მხრადან. დამაზა და ახფანია ბაჭია, აცვია კახტა ჩერ-ქუსული ტანისამოსი. მისვრა-მისვრა და ღაზა-რაზე ემჩნევა, რომ თავზე ხელ-აღებული და მოურბადებლად) აბა, მოლოზნო! ერთი ცივი წყალი დამალეინე.

მოდ აგერ დოქი და მიირთვი!

მალხ. (დაღუვს) სხვა, ბებრუტუნა, რო-დის ფიქრობ საიქიოსკენ აბარგებს? (დაქს ხელში ატრიალებს)

მოდ. ურწმუნო! ეს ღვთის საქმეა და არა შენი.

მალ. ადამიანო! ღმერთს აღარ უნდი-ხარ, აღარ. „კუდიანები სიაში არ მიწერიოა“ ხა-ხა-ხა! იცი რა, თუ გინდა ხელათ წა-გაბრძობ და ის იქნება. ეგრე ემჯობინება, მე და ჩემმა ღმერთმა, თორემ მე რომ შენი ამბავი ვიცი, რომ მიგაყენონ, ღღეში ვგონებ ათი კეცი მქალი არ გეყოს.

მოდ. შენგან სხვას რას უნდა მოელო-დეს კაცი. უწახრობა, თავ-დასხმა, კაცის შეწუხება აი შენი ხელობა.

მალ. (კბალები კრავუნათ) ემანდ ენა ნუ წაიგძლე, ბებერო ქოფაკო, თორემ მე ვიცი შენი. (აღტრას ქვაზე დახანარცხებს) ამის სამართალი კი დაიქცეს.

მოდ. იფ, რა ვაყვაცია! გული მეთუთ-ქება, როცა გიყურებ ამ ალვის ხესავით ჩა-მოქნილ ვაყვაცს და ასეთ პირშავს, ასეთ სა-ხელ-ვატეხილს.

მალ. ხმა, კრინტი! (ხანჯალზე) ამას ჰხედავ?

მოდ. მე სიკვდილისა არ მეშინიან. შენ ეი! ხალხისკენ იბრუნე პირი, თორემ შენ და შენს ამონებს ცული ღლე დგადგებათ. მე ჩემი მითქვამს და ისე-კი როგორც გენე-ბოს. რომ მაწამო, ამ ღლიდან მე შენი ხმის გამცემი არა ვარ.

მალ. მართალია, კბილები არა გაქვს, რომ კაცმა ჩავამტვრიოს და მით გული მო-იხზოს, მაგრამ თუ გაებრაზდი, ამ შენ გაფ-შეკილ ძვლებს მოვიქნევ და აი იმ ხრამში გადაუძახებ. (მიდას მარჯვენაზე) ბებერი კუ-ლიანი!

V

ივაივე და მაცრინე.

მაცრ. წაშედა?

მოდ. წაშედა. დანიახე?

მაც. როგორ არა. მოვდიოდი, მაგრამ რაკი აქ შევამჩნიე, უკან დავიხიე და აქვე ღლი ქვასთან ვიყავი ატუხული.

მოდ. მოგეცა ლხენა მე ის შევახურე.

მაც. შეახურე თუ არა, ყურში შეუ-შევებს.

მოდ. გაჯავრებულმა დოქზე იყარ-ჯავრი.

მაც. დაუდგეს თვალი იცი ბები, -- არა-ვის კი არ უთხრა და ამბობენ: „ხალხი მაგ ავაზაკებს მალე გაასამართლებსო“.

VI

ივაივე და ელიკო.

მაც. აგერ ელიკოც. მოდი ჩემო კარგო, მოლი დაისვენე!

ელ. მეჩქარება, საქონელი მყავს მოსა-რეცი.

მაც. ჩამოჯექი ცოტა ხანს, დაისვენებ. ჯდება)

ელ. ნინიკანთ სიმონასა ვთხოვე და ნეტავი თუ ჩამოატარა?

მოდ. თავისი კი, და შენი არა.

ელ. მაშ ამას ავიტან და გაუღებები გზას.

მოდ. რა დროს ტყეში წასვლაა, ქალო. მგლები შეგკამენ.

ელ. ეჰ, ჩემო ბები! განა სულ ერთი არაა, დედინაცვალი დამახრჩობს თუ მგელი შეგკამს?

მაც. რა საშინელი ენა აქვს ამ გოგოს, რა საშინელი. ნუ გეშინიან გენაცვა, ნუ გეშინიან, მეც თან ვამოგყვები.

მოდ. მოიცა, შვილო, დაჯექრ, წამალს დაგალევიანებ (შედის სხჩაწოდ სენაჟში, განა ბატონს ჰატარა ბოთლით წამალს, მკერანეს) ამას ხალხი ქათმის ფულთ ეძახის. ბევრი გამოუბრუნენია და ეს-ა ჩემ ობლო გოგოსაც მომირჩენს. (ელას) აბა, დალიე, შვილო!

ელ. (სჯამს)

მოდ. (შირჟვარს გადასწერს)

VII

ივანივე და დედინაცვალი.

დედინაცვალი (გამხანგება წკეზლით ხელში მარჯვნივ მხრადან ჰატარა ფერდაბზე და გაჩერდება)

ელ. (აჩანჩანებს) ვაიზე, ეხლა კი მომკლავს.

დედ. (შესტკეარს - ისეთის თვალებით, თითქმის შეშინებულად) გოგო! სა ჯანაბაში ხარ ამდენ ხანს? გოგო მეთქი, შე მიწა გასახეთქო, მე რა დავაბარე? გასწი ამ წუთას და თუ საქონელი არ მოგიტრეკია, შინ მოსვლა არ ვაბედო და იქვე გაითხარე სამარე.

მაც. მე თუ მკითხავ შენთან დაბრუნებას, მართლაც სიკვდილი ურჩევნიან.

დედ. (მკერანეს თვალებით ბრძადათ) ვისაც არ ეკითხებიან — თავისთვის ეგდოს. (მოდოზანს) სულ შენ გადამირიე ეს გომბიო, შე კულიანო, შენა. თავი დაანებე და ეს გოგო ნუ გამირყვინი, თორემ შენი ქონხმხიანად გადაგწვამ იცოდე.

მაც. რა ძალიან მოგაქვს თავი? ვინცა ხარ და ვისი დედამამისშვილი, ხომ ყველამ ვიცით? ჰაი გიდი გიორგის დოვლათო! იქნებ სილაშით მოგაქვს თავი? რა ვუყოთ მერე!

ესეც მიგაქვება და დამჩრები ცარიელი. მაგ სახის პატრონი სოფლის თვლის ჩინი ვიქნებოდი, მაგრამ შენი რა ბრალია, როცა დმერთმა ასეთი ბოროტი და შხამიანი გავაჩინა.

დედ. შენთან ლაპარაკს მერეც მოვესწრები. (ელას) წამოეთრიე! (გააგაღებს წიდას, ტატას რამ მიუფარება, ისმას წკეზლის ტყავური და ელას გულ-საქაღვია წივადი)

მოდ. და მაც ვინა ხართ ქრისტიანი, მოჰკლა, უშველეთ, უშველეთ!

ხმა. (ისმას რამდენიმე კაცისა ხმა შარადან) რა ამბავია, რა ამბავია?

მოდ. (გადასძახებს) თქვენი შერცხვენა და თავლაფ დასხმა, აი რა ამბავია.

ფარდა

(შემდეგი იქნება)

ტრიფონ რამიშვილი.

დოკუმენტი

ქართულ მწერალთა წერილავი

ილია ჭავჭავაძე

(გავრქელება იხ. ,,მ. და ც.„ № 15)

„ივერიის“ რედაქციას 1887 წ

„ივერიის“ მეთაური წერილი, დაბეჭდილი №134-ი, წაკითხული არა მქონდა, როცა დაესწრეთ მწარედ აღწერებულმა ის წერილი, რომელიც ცალკე გამოფავზე გაზეთში დასაბეჭდად, უკეთეს რედაქცია უკანასკნელად ნებას მომცემს თავის მართლებიანსა. მაგრამ როცა „ივერიის“ მეთაური წაკითხეთ, საშინლად გამოცოცხდა, გამოცოცხდა იმიტომ, რომ ის რედაქცია, რომელიც ჰქადაგობს მაღალს ზნობას, ნამუსის და პატიოსნებას დაცვა, მე დანთ მკლავს, ისეთი შეურაცხობას მაყენებს, რომელსაც საბუღალრო არ მოეძებნება არა რომელიმე ლექსიკონში. ბრალსა მდებო იმისთანა საქმეში, რომელშიც არც ხორციით და არც სულით არა ვითარიმე დანაშაული არ მიმიძღვის. როგორა ჰკონია რედაქციას, განა მე იქნამდის ნამუსზე ზეღაღებული, იქნამდის ტერ-ლაბნებულები, იქნამდის დაუნდობელი ვარ, იქნამდის არ ვაფავებ ქმობას, მეგობრობას, ჩემთვის ძვირფასს ადამიანებს, რომ ვანზრახ ჩავიდენდი იმ საქციელს, რომელშიც რედაქცია ბრალსა მდებ? განა კალამს ვავსერიდი იმ ჩირქში, თუ მცოდნოდა პასკეილის შინაარსი, მცოდნოდა, თუ ვის შეეხებოდა იგი? რედაქციამ ისულწრაფა, — ბოდიშს ვიხიბ, თუ გამწარებულს ზოგჯერ მწვევი სმტყეები წამცდება, — და არ მოითმინა, ჩემგან ნამდვილი ამბავი შეეტყო იმ პასკეილის შესახებ. აქ პასკეილზე არას ვილაპარაკებ, რადგანაც პირველს წერალში ვრცელად მოხსენებულა



მთლი საქმის გარემოება, მხოლოდ შეეცნებო „ივერიის“ მეთაურს, რომელიც, სხვათა შორის, მეც შეშინებდა.

„ივერიის“ № 134-ის მეთაურშია: „ყოველივე ეს ვთქვამებინა ერთმა შემპარწუნებელმა ამბავმა, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს „ივერიაში“ ადგილი ჰქონია. ჩვენ მოგვივდა ერთი მოთხოვნისათვის რაღაც წყელო, საცა თურმე ჩამოთვლილია ზოგიერთი ამბავი ერთს ხელნაწერის პასქეილიდან ამოღებული. ჩვენ ვერ უხებდით ამ მოთხოვნის აზრსა და... ერთს საზნობარ კლავში ჩვენ, ჩვენდა უნებურად, მონაწილეობა მივიღეთ“... ცოტა ქვემოთ: „მაგარამ მაინც დიდად შემაწუხებლია, რაკ-ი შევიტყუეთ, რაზედ არის აშენებული იგი მოთხოვნა“...—დემირთი შემიწყოლე! ფელაქისი ლაპარაკივით ის გამოდის, რომ მთელი დედუტონი იმ აზრით არის სავსე, რათა ჩირქი დამეცხო ბატიონსანი ქალასათვის, თუმცა ფელეტონში სრულებით სხვათა შორის არის მოყვანილი და ნახსენები ლექსი, თუ არ ახსენებ რედაქციას ის ბელუტუდმართი „მოთხოვნა“, წაიხიხოს ხელმეორედ დასარწმუნებლად იმისა, რომ „იგი მოთხოვნა“ არ არის აშენებული იმ აზრზედ, ე. ი. დედაზნი მისი არ არის იმაზედ დამყარებული, რომ ვისმეს განზრახ ჩირქი მოსცხოს. არც მისარგებლნი პასქეილით, რადგან იგი წერილობითაც არ არსებობდა, მხოლოდ სიტყვიერად ლაპარაკობდნენ.

შემდეგ მეთაური წერილი ამბობს: „ჩვენ, ვიგოვრებით, ვერ მივხვდით შინაგანს აზრს მოთხოვნისას და ჩიქი, საიდანაც გამოგზავნილი იყო იგი მოთხოვნა, ველანი მიმხედარან, რაც ამბავია“... როგორი მიმხედარან? მაშინ, როდესაც ჩემი „მოთხოვნა“ დაიბეჭდა, თუ დღეს, როდესაც ყველამ გავიგეთ, საქმე რაშია? ვიფიქრა? რედაქციაც, მეც და აქაურებიც მაშინ მივხვდით, როცა ანტონ ფურკელაძემ გითხრათ თქვენ და მე წერილი მომწერა თბათვის 30-ს ამის შესახებ. იქნამდის ბავშვი არავინ არის, რომ ამისთანა ტურტლში ხელი გავფარო და შევბღღაო იმისთანა წმიდა წმიდათა, როგორიც არის რედაქცია.“

„მეთაური კვლავ ამბობს: „თურმე ნუ იტყვი, რომლებით უპატიურად გაეხადნათ ნიშანში ამოღებულნი, ჯავრის ამოსაყრდენი გვანში—და ცითომ მე დღევანდელი იმისთანა ქალის ჯავრის ამოყრა, რომელზედ ვეფთხი მეგობარი ჯერ არ შემიძინია ამ ოჯახს ქოხიანს ქვეყანაში) ამით ხელნაწერად გავრცელებულ პასქეილისათვის გაზეთში გამოტარებული სიტყვიერი ცოტად თუ ბევრად გზა გაყვნა“. ვითომ, — რედაქციას ამისი უკმა უნდა, —მე გულით და სულით მსურდა გამეფრთხილებინა ხალხში ლანძღვა-გინება იმ მეგობრისა, რომელიც დღესაც, ამ საქმის შემდეგ, ჩემთვის უფრო მსურს, ვინემ თავის თავზედა! ვითომ მე ვიცილი, ხელთ იქნადა პასქეილი და განზრახ შეცდომაში შევიყვანე ის რედაქტორი, რომელიც ყველა ქართველისათვის თვალის ჩინია,“ შევბღღავე და წავბიძგე ის ტარბი, ის წმიდა წმიდათა, რომელსაც რედაქციის ეძახიან და რომელიც ჩემთვის ყველა საუნჯეზე უფრო მძვესია!!.. მაშ მუ მე აღარ ვყოფილვარ და იმ დღეს რაღაც მან-

ქანებით ვშპაკად და ქაჯად გარდავექმნილვარ!... აგერ ოცდათექსმეტი წელიწადია ვსცხვარობ ქვეყანაზე და ასეთი მენი არასდამტეხია თავზედ: ამ ხნის განმავლობაში იოტის ოდენადაც არ მილაღებინა სინდისისათვის, საზოგადო საქმისათვის, მეგობრობისათვის. ამას ჩემი მოსისხლე მტრებიც კი დაამტკიცებენ. დღეს კი „ივერიის“ სულსწრაფობის გამო, რომელიც, —არ ვამბობ წინააღმდეგს, —სამრლიანის გულის წყრომის ნაყოფია, მე უნაწილოდ გავხედა, —თუ ვყოფილვარ ეს აღარ ვიცი, —უპატიონსოც, სხვათა შორის, ქურდბაცაკაც... მახლას!..თუმე სიბერედის კაცს სიქაზე სწერებია.“

„რადგანაც რედაქციამ უნაშუალო კაცად მიცნო, რომელიც ქურდულად იპარება და ჰბღღალებს წმიდა ტაძარს სიტყვიერებისას, ამიტომ ვსწევრტ, ივერიის“ რედაქციასთან ლიტერატურულს კავშირს. რასაკვირვილია, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ რედაქციის თავს ვამუნათებდე და ვყოფილინობდე, რომ რაკი მე კავშირს ვაგსწევრტ, რედაქციას დედაბოძი გამოვიტელება. არა! მე იმიტომ ვმორღები, რომ იქნება მართლა მავნებელი კაცი ვარ ლიტერატურისათვის და მე ვერ ვგრძნობდე!“

„მხოლოდ რაკი შეეხება ჩემს ავტობიოს, პირნათლად ვაგუსწორებდი რედაქციას, რომ ამაში მაინც უნაშუალო და ქურდბაცაკად არავინ დამწამოს.“

ივლისის 4, 1887 წ. ქ. გორი
მაზე ვეფთხის 4-ს გივო ეფთხიძეს მაე-
წერე, მაგრამ ამაზე შევდეგ.

ს. მ. მ. მ. მ.

(გაგრძელება შემდეგ)

დ. ცხინვალის თეატრი

თუ პრეფინციის თეატრალურ ცხოვრების აღნუსხვას შევუდგებით, დ. ცხინვალის მცხაგრებით მოქმედებას უუფრადგებოდ ვერ დავსტავებთ, რადგანაც თავისი შეცდანიებით ცხინვალელებმა რამდენიმე წელიწადია აკვს ვეება თეატრი, რომელიც 500 სულზე მეტს იტევს. თუ აქამდის დ. ცხინვალის საზოგადოება გონებრივად და წინებრივ განვითარებას მოკლებული იყო და წარმოდგენებს (შეგათად გვირსებოდა, ამ ბოლო სხვაში (3-4 წლის განმავლობაში) ახალგაზრდათა სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს, თათქმის სულ უფროსად ლექცია-რეფერატებს და სადოტურატურო სადამოცასამართლებებს, რომლებითაც პრეფინციის განვითარებაში თავისიწინა წვლილი შეაქვს. წელსაც შესედა მუდმივი დანა, რომელმაც გადასწვიტა ჯერ-ჯერობით თავი შეაფაროს ადგილობრივ კლუბს, რადგანაც იგი წარმოდგენ-

ნების გამართვის უფლებით არის აღჭურვილი. ამ დანის გამგებობაში აირჩიეს: ბ. ბ. ას. ღ. ხიმშიაშვილი, გ. ქ. დავითაშვილი, გ. ი. მედიქიძე, ალ. ს. მახაბელი, შ. ელ. კვანცხაძე, გ. შაირაშვილი, ერ. მეზურნიაშვილი, გ. ბა-სიშვილი, არჩილ დედანიშვილი... სტენის მო-ეგარეებად მოაწვიეს: ქ. ქ. მურდაშვილი ნ., ოქრობარიძე ელ. (სუფლიორი), ელიზაბედი-სა ან., ჯაფარიძე მარ., კვანცხაძე თამ. (სტე-ნარეჟი); ბ. ბ.—გამგებობის ზოგადი წევრთა ცარდა— აბულაძე მის., ოქრობარიძე ა., პეტო-კეი ად., როსტომოვი ივ., აბაზაძე მის., ხერ-ხეულიძე გ., კიაზოშვილი მის. (რეჟისორი) და სხვანაირ... ხმარს და მუყაითს მისაწოდებ-ბას დებულბდნენ და იღებენ კიდეც მისახობ-ნი: ქ. ელ. ჩერქეზიშვილი და ბ. ზ. მახა-ბელი...

აქურდ ქართულბბას არც რუსები და ასე-ბი ჩამორჩნენ და შექდებობსდა გვარად, მოსხდე-ნად მოქმედებენ.

საერთად მიეხანა ამ წრეების მოსაწინა, სსოვლბბებზე სსოვრო ზეგავლენას ახდენენ და ამიტომ ვუსურვებთ, თავისი შრომა-შემეც-ნებით ჰპოვონ სსხედი და სსოვლბბებების ბრწყინვალე უყრდებობა დაემსახურებინათ...

მოკლე

წვრილი ამბები

◆ **ქართ. თეატრთან მოწოდებლ კაპიტონ-კულდა სამეცადინო სტუდიაში** ასწავლან შემდეგ საგნებს: პლასტიკას, სხეულის ფარჯიშობას, მხატვ-რულ გიმნასტიკას, ცეკვას; მიმოდრამას: უსიტყუო ფსი-ხოლოგიურ განკდას, ამოცანებით ფარჯიშობას; სიმ-ღერას—ხმის ფარჯიშობას, ვადახლისებბას, სოლფეჯი-ოს; დიქციას—სუნთქვის გავარჯიშობას, მკაფიოდ გამოთქმას, ქართულ ენას, მხატვრულ კითხვას ფარკო-ბას—ეგრობიულს და აზიურს; პრაქტიკული ფარჯიშობა—მოამზადებენ სხვა და სხვა პიესების ნაწყვეტებს. წლის ბოლოს იქნება საჯარო გამოცდა. სტუდიაში მიიღე-ბიან ვინც გამოცდის დროს შესაფერ სსსცენო თვისე-ბათ გამოიჩინენ. სწავლა უფასოა.

◆ **„ხალკვნების მოკლე ისტორია“** (ხუ-რომთმოდგრება, ქნდაკება და მხატვრობა), თხზ. ბა-იისი, სთარგვნა მსახიობ-რეჟისორმა შალვა დადიანმა დაბეჭდავთ ჩვენს ჟურნალში.

◆ **ახალგაზდა მოსანამ მითხ ნიკვამ** დას-

წერა ხალხური ლეგენდა „მუქურვარსკვლევი“, რომელიც ჩვენი ჟურნალის მომავალ ნომერში დაბეჭ-დება.

◆ **ავლაბრის სახალხო თეატრის** საზაფხულო სეზონი იწყება დღეს. რეჟისორად მიწვეულია მსა-ხიობი ი. ივანიძე, რომელიც კაი ხანია მხნდ და ერთ-გულად ემსახურება ზემო აღნაშნულ სცენას.

◆ **დუშეთის ქართ. წარმოდგენების** მმარ-ველი წრე მადლობას უძღვნის ბ-ნ მ. მოსესოვს ტა-ნისამოსის შემოწირვისათვის.

◆ **ი. გიზაშვილის** და **ი. ზარდალიშვი-**ლის თაონობით სიღნაღსა და თელავის მზრბებში გა-მართულ საღამო-წარმოდგენებს კარგი შემოსავალი ჰქონდა.

◆ **მარბოზის გიზლირთაის სასარგ-ლოდ** შ. გომელაურის თაონობით 6 ივლისს ადგი-ლობრვე სცენის მოყვარებთა დახმარებით წარმოდგენი იქნა „იორ ვიჭირი“. დიდძალი ხალხი დაესწრო. სალ-ლისოდ „და მისი“ წარმოდგენას აპირებენ.

◆ **სოფ. სარტიბალის ცენის** ფონდის გასა-ძლიერებლად იასონ სულთნიშვილმა შესწირა ერთი თუმანი.

◆ **ღარბატურაი ი. გედვანიშვილი** საზაფ-ხულად მცხეთაშია.

◆ **სათეატრო მუყაუბს შემოსწირბს:** 1) **ტ. თუბანიშვილმა** თვისი თხზულებანი რუსულს ენაზე „Характеристики и воспоминания“ (1, 2, და 3 წი-გნი);

2) **მირიან ბუბაშვილამ**—ზონის 1911 წ. სა-ზაფხულო სეზონის, 9 აფიშა და 1 პროგრამა. რედაქცია შემოწირველთ გულითადას მადლობს უძღვნის.

შენიშვნა: სათეატრო მუწეულისათვის ყოველვე შემოწირულებბა უნდა გამოიგზავნოს რედაქციის სახელ-ზე ამ მისამართად: Ред. жур. „Театри да Цховреба“—Юс. Имедашвили,—Грузинский театр.

შენიშვნობბა

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: ა) **„შ. არბ-გვისპირაში“**, მე-5-ე წიგნი, რომელშიაც მოთავს-ბულია ჩვენი ნიჭიერი მწერლის ხუთი მოთხრობა: „გიუ-ლი“, „ბაღლი ყოფილბა!“ „დღი დღვა მარიამი და ხატური“ და „ანტონ ზურბაბი“. შეიცავს 247 გვ. და ჰღირს 50 კ.

ბ) **„მონბანბინე მახაშვილი. ლირიკა“**, გას. „თემი“-ს გამოცემა და მისივე წლიურ ხელის მომწერი საჩუქარი, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ამ წიგნში მოთავსებულბა ჩვენი ნიჭიერ სატირიკოს-მგოსნის ლირიკული ნაწყურნი. წიგნი გამოცემა ლამაზად, ფაქზად, კარგის ქაღალდით, შეიცავს 108 (X+96) გვ. და ჰღირს 50 კ.

გ) **„ჯიბრილი“**, № 6—ივნისი, 64 გვ. (321—84), რომელშიაც მოთავსებულბა ამბები, ლექსები, მოთხრო-ბები, გამოკანები, შარადა, და სხ. ნომერი კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი, დასურათებულბა და ჰღირს 40 კაპ.